



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'N. Khashibadze', is written over a horizontal dashed line.

ნოე ქაშიბაძე

06 ნოემბერი 2014 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N17/129

2013 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	4
ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები.....	9

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდეგში „უმაღლესი საბჭო“) ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №5, ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი წარმომადგენლობის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ

მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, კერძოდ:

მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით

არაფინანსური აქტივების დანაკლისის თანხებზე დარიცხული იყო ცვეთა 9,270.50 ლარის ოდენობით, რის შედეგად რეალურად არსებული დანაკლისის თანხები (16,639.70 ლარი) შემცირებული იყო მასზე დარიცხული ცვეთის (9,270.50 ლარი) ხარჯებით, რაც ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობას¹.

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

- უმაღლესი საბჭოს ბალანსზე აღრიცხულია 1,202.00 ლარის პირველადი ღირებულების ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ინფორმაციით, კვლავ იმყოფება ყოფილი თავმჯდომარის თ. ნადარეიშვილის ოჯახში (აღნიშნული ფაქტი ასახულია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული წინა წლის აუდიტის ანგარიშშიც). აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიღებული ჰქონდა 17.12.2004 წელს დადგენილება, რომლის თანახმად მოკლელულიანი ცეცხლსასროლი სახელობითი იარაღის-პისტოლეტის (N27-016831) თ. ნადარეიშვილის ოჯახზე დატოვების შესაძლებლობის საკითხი განხილულიყო საქართველოს შსს სამინისტროს სათანადო დასკვნის შემდგომ. წარმოდგენილია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს და საქართველოს შსს მიერ გაცემული მოწმობები (შესაბამისად N47610 - გაცემული 10.10.2008 წელს და N IB0102732 - გაცემული 13.09.2011 წელს), რომელთა თანახმად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი იუსტიციის მინისტრს ვლადიმერ ნადარეიშვილს (თ. ნადარეიშვილის შვილი) უფლება აქვს შეინახოს და ატაროს ზემოაღნიშნული იარაღი. აღნიშნული საკითხი ამჟამად არ არის დარეგულირებული, ვინაიდან თ. ნადარეიშვილის ოჯახზე იარაღის დატოვების შესაძლებლობის საკითხი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ განუხილავს და არც უმაღლესი საბჭოს აპარატს არ მოუპოვებია საქართველოს შსს სამინისტროსგან სათანადო დასკვნა². სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 წლის 26 სექტემბრის

¹საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

²აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 17.12.2004 წლის დადგენილება.

№72/06 წერილის პასუხად სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 16 ოქტომბრის № MIA 3 14 02062409 წერილით ირკვევა, რომ „H/K USP COMPACT სისტემის №27-016831 პისტოლეტი რეგისტრირებული იყო ვლადიმერ თამაზის ძე ნადარეიშვილის პ/ნ 01031001316 სახელზე, რომელზეც გაცემული იყო ნებართვა № IB0102732 (კატეგორია B, შენახვისა და ტარების უფლებით). ვლადიმერ ნადარეიშვილს ზემოთ აღნიშნული იარაღი 2003 წლის 4 თებერვალს გადაუფორმა თამაზ ნადარეიშვილმა, რა დროსაც განცხადებასთან ერთად სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წერილი № 29/01-გ, H/K სისტემის პისტოლეტის შენახვისა და ტარების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით“;

- ძირითადი აქტივებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვის ორგანიზებისა და მოვლა-შენახვაზე არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი. კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვით 2013 წელს შეძენილ არაფინანსურ აქტივებზე (მათ შორის ყველა გრძელვადიან მცირეფასიან ინვენტარზე) არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები, ასევე უმეტესი დასახელების არაფინანსურ აქტივს (მათ შორის ყველა მცირეფასიან ინვენტარს) საერთოდ არ ჰქონდა მინიჭებული საინვენტარო ნომერი. ასევე, საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებში სხვადასხვა სახის მოწყობილობები და ინვენტარი აღრიცხული და წარმოდგენილია ერთი დასახელებით. კერძოდ: 1. ბალანსზე რიცხულ სამი ცალი კომპიუტერის კომპლექტიდან (თითოეული 1,000.00 ლარის ღირებულებით) არ არის ცალ-ცალკე გამოყოფილი და აღრიცხული თითო-თითო პრინტერი; 2. ერთი ცალი სკანერი/პრინტერი ჩართულია ბალანსზე რიცხული კომპიუტერულ კომპლექტში (1,330.00 ლარის ღირებულებით); 3. რვა ცალი მაგიდის კომპლექტი (მათ შორის: ექვსი თითოეულის ღირებულება 183.71 ლარი, ერთი ცალის ღირებულება 220.45 ლარი და ერთი ცალის ღირებულება 169.93 ლარი) გაერთიანებულია და არ არის ცალ-ცალკე აღრიცხული მაგიდის ტუმბოები³;

ყოველივე ზემოხსენებული ართულებდა და შეუძლებელს ხდიდა განხორციელებულიყო უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული მოცემული ინვენტარის სრული იდენტიფიცირება⁴;

- ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 21 ერთეული გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივის (მათ შორის: წიგნის თარო - 1 ცალი; ირანული სკამი - 3 ცალი; ტელევიზორი - 8 ცალი; ფაქსი - 2 ცალი; სავარძელი - 1 ცალი; ტელეფონის აპარატი - 2 ცალი; ტუმბო გორგოლაჭებით - 2 ცალი; ბაინდერის კარადა - 1 ცალი; მონიტორი - 1 ცალი) ზედმეტობა. ვინაიდან მოცემული აქტივების ფასები უცნობი იყო, შესაბამისად ისინი შეტანილი იქნა საინვენტარო აღწერაში ღირებულებების გარეშე;

³საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები;

⁴საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები;

აღსანიშნავია, რომ რიგი ნაკლოვანებებისა და კანონშეუსაბამობისა (ანგარიშვალდებულ პირებზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რიცხული დავალიანების ბიუჯეტში დაბრუნებისა და შესაბამისი აღრიცხვის; შტატგარეშე მოსამსახურეების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად აყვანის; უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული მოკლელულიანი ცეცხლსასროლი სახელობითი იარაღის კანონიერ მფლობელობაში მოგვარების თაობაზე), რომლებიც წარმოდგენილია აღნიშნულ პარაგრაფში, გამოვლენილი და წარდგენილი იყო უმაღლესი საბჭოსათვის აუდიტის წინა პერიოდებშიც, თუმცა უმაღლესი საბჭოს აპარატმა ვერ უზრუნველყო მათი აღმოფხვრა⁵.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2013 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხისა, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

პირობითი მოსაზრების აბზაცში წარმოდგენილი გარემოებების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

უმაღლეს საბჭოში ბრძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2013 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 10 მომუშავე და მათზე ანაზღაურებულია სულ 50,763.00 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 6 პირი აყვანილია მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად⁶; კერძოდ, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის, უმაღლესი საბჭოს ფრაქციების და კომისიის მოწვეულ სპეციალისტებად. მათზე თვეში ანაზღაურებულია 600-600 ლარი, სულ 44,900.00 ლარი. მათ შორის:

- ფრაქციაში შესულ დოკუმენტებზე ანალიზის, შენიშვნებისა და დასკვნების მომზადებაში მონაწილეობის მიღების, ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმითა და წესდებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებისთვის ხელშეწყობის, ფრაქციის წევრებისათვის საინფორმაციო და სხვა მასალების მომზადების,

⁵„საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების მოთხოვნები.

⁶„საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნები.

ცალკეული დავალებების შესრულების მიზნით დასაქმებული იყო დ. დარასელია (01.01.13 – 31.12.2013 პერიოდში);

- ფრაქციის საქმიანობისათვის ხელშეწყობის, ფრაქციის სხდომების მომზადების, ფრაქციის სხდომების დღის წესრიგით ფრაქციის წევრების უზრუნველყოფის, ფრაქციაში შესულ დოკუმენტაციაზე ანალიზის, შენიშვნებისა და დასკვნების მომზადების მიზნით დასაქმებული იყო კ. თორია (01.01.13 – 31.12.2013 პერიოდში);
- ფრაქცია "დემოკრატიული რეფორმებისთვის" სამუშაო გეგმების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, კანონპროექტების, სხვა სახის გადაწყვეტილებების, პროექტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღების, მათზე შენიშვნების, დასკვნებისა და წინადადებების მომზადების, ფრაქციაში საქმისწარმოებისა და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურეობის განხორციელების, ფრაქციის თავმჯდომარის და სხვა დავალებების შესრულების მიზნით დასაქმებული იყო თ. გასვიანი (01.01.13 – 31.12.2013 პერიოდში);
- უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების მუშაობის სრულყოფაში ფრაქციის წევრთა მონაწილეობის ხელშეწყობის, ფრაქციის სხდომების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ანალიტიკური მასალების მომზადების, ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმითა და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის ხელშეწყობის, ფრაქციის თავმჯდომარის დავალებების შესრულების მიზნით დასაქმებული იყო ჯ. ლატარია (01.01.13 – 31.12.2013 პერიოდში);
- ფრაქციის სამუშაო გეგმების, კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, სხვა პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის, მათზე ბრძანების, დასკვნების და წინადადებების მომზადების, ფრაქციაში საქმისწარმოებისა და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურეობის უზრუნველყოფის, ფრაქციის თავმჯდომარის ცალკეულ დავალებათა შესრულების მიზნით დასაქმებული იყო დ. შაპკოვსკაია (01.01.13 – 31.12.2013 პერიოდში);
- კომისიის სამუშაო გეგმების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, კანონპროექტების, სხვა სახის გადაწყვეტილებების, პროექტის შემუშავებაში მონაწილეობის, მათზე შენიშვნების, დასკვნებისა და წინადადებების მომზადების, საქმისწარმოებისა და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურეობის განხორციელების, კომისიის თავმჯდომარის დავალებების შესრულების მიზნით დასაქმებული იყო გ. წუწუნავა (01.01.13 – 31.12.2013 პერიოდში).

გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება

უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ კვლავ არ იყო სრულად შესრულებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლოს პალატის პრეზიდიუმის 2005 წლის 2 თებერვლის N1/1 დადგენილებით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2005 წლის 22 მარტის დადგენილებებით დაკისრებული ვალდებულებები - ანგარიშვალდებულ პირებზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში

რიცხული ზედმეტად ანაზღაურებული (ავტომანქანის საწვავის და მივლინების) თანხების ბიუჯეტში დაბრუნების თაობაზე⁷:

(ლარი)

N	ანგარიშვალდებული პირები	წარმოშობის თარიღი	01.01.2013წ. რიცხული დავალიანება	01.01.2014წ. რიცხული დავალიანება
1	ბალათურია ზურაბი	18/01/2005	1,095.50	1,095.50
2	ჩაკვეტაძე როინი	18/01/2005	2,003.20	2,003.20
3	მანია ოლეგი	18/01/2005	468.00	468.00
4	ტაბიძე შოთა	18/01/2005	897.50	897.50
5	ომანიძე მურმანი	18/01/2005	397.28	397.28
6	ბოხუა მერაბი	18/01/2005	2,547.06	2,547.06
სულ		X	7,408.54	7,408.54

ზემოაღნიშნული დავალიანებები, აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების (08.06.2012 წლის N6-023) მოთხოვნათა შესაბამისად, 2012 წლის ბოლოს ჩამოწერილ იქნა ბალანსის მუხლებიდან („ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები“ და „სხვა დანაჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები“) და აღირიცხა ბალანსის საცნობარო მუხლში - „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“; პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძლად მოყვანილია დებიტორთა სავალალო ფინანსური მდგომარეობა (უმუშევრობა, გადახდისუუნარობა და საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფა).

პრემიები

შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია პრემიები მთელი წლის განმავლობაში 162,199.00 ლარის ოდენობით. ერთ მუშაკზე გაცემული პრემიის მოცულობა ძირითადად შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 0.5-1.7-ის და ერთეულ შემთხვევებში 2.0-2.5 მოცულობას.

ხშირ შემთხვევაში პრემიების გაცემასთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებებში არაა წარმოდგენილი თუ კონკრეტულად რა სამუშაოების შესრულებისთვის გაიცემოდა პრემია.

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი

გიორგი ფრუიძე

06 ნოემბერი 2014წელი

⁷ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმის 2005 წლის 2 თებერვლის N1/1 დადგენილების დააფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 22.03.2005 წლის დადგენილების მე-3 და მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტების მოთხოვნა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

17.01.2014წ.

ჩააბარა

ნ. ჯამჯაძე

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
	I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		7369.20
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	1586.60	
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		
	II. არაფინანსური აქტივები			
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
390	შენობა-ნაგებობები	2110	906840.77	899527.54
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	142017.32	145612.18
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130	600.00	0.00
420	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400		
	ბალანსი		1051044.69	1052508.92

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
490	ვალდებულებები ბარტერიტ	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
530	სხვა გადასახდელები	3244		
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
600	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
610	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	1051044.69	1052508.92
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		
720	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		1051044.69	1052508.92
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
750	გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		7408.54
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	22028.05	3705.21
770	პირობითი მოთხოვნები	05		
780	პირობითი ვალდებულებები	06		
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
800	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	12974.86	26627.21
810	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	982.00	982.00
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10		31427.78

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა

* აღნიშნული სტროქონის მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებისა და კაპიტალის ჯამს



[illegible]

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საქონლის მოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2014 წლის 1 იანვრისთვის

კოდი 1001

ზომის ერთეული: ლარი

1	2	3	4	5	6	7	8
სტანდარტული კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	სტანდარტული კოდი	სტანდარტული კოდი	სტანდარტული კოდი	სტანდარტული კოდი	სტანდარტული კოდი	სტანდარტული კოდი
010	1. არაფინანსური აქტივები	31	39700	45900	45849	45849	45849
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	39700	45900	45849	45849	45849
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111					
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112					
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალი	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკაპიტალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მოლსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	39700	45900	45849	45849	45849
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	34000	44900	44900	44900	44900

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აფხაზეთის არ უმჯალუქი საბჭო

კოდი 1001


პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2014 წლის I იანვრისთვის

ზომის ერთეული: ლარი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი									
სტანდარტული კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები			32		2910	2910.00	2910.00	2910.00
020	1.1 საშინაო			321					
030	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები			3212					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა			3213					
050	1.1.3 სესხები			3214					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი			3215					
070	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები			3216					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები			3217					
090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები			3218					
100	1.2 საგარეო			322					
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები			3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა			3223					
130	1.2.3 სესხები			3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი			3225					
150	1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები			3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები			3227					

170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხიობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33					
200	2.1 საშინაო	331					
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313					
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318					
280	2.2 საგარეო	332					
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3328					




 ნ. ლაშქაძე

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ლირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აგზაუბრის არ უმაღლესი საბჭო

კოდი 1001

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2014 წლის I იანვრისთვის

ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის №	დებეტი	ჯგუფი	ანგარიშის №	კრედიტი	ჯგუფი
7100	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	1365522.61	4100	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	1051044.69
7200	მიმდინარე ანაზღაურება	203704.19	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1616156.80
7300	საქონელი და მომსახურება	42798.17	6000	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიების და დანაშაულების გასაცემად	
7310	პირდაპირი კაპიტალის მოხმარება	42318.16	6300	შემოსავლები	
7400	მ.შ. ფიზიკური ცეცხლა			მ.შ. გრანტები	
7500	პროდუქტი				
7600	სუბსიდიები				
7700	გრანტები				
7800	სოციალური უზრუნველყოფა	1081			
	სხვა ხარჯები				
	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გაცემა				
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური აქტივები	
1600-2000	არაფინანსური აქტივები		1600-2000	ფინანსური ვალდებულებები	
8000	სხვა გეოგრაფიული ნაკადები		8000	არაფინანსური აქტივები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	1586.60			
	საღებტო ბრუნვა	1614692.57			
	სულ ჯამი: **	1614692.57		საღებტო ბრუნვა	1616156.80
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			სულ ჯამი: ***	2667201.49
				ნაშთი პერიოდის ბოლოს	1052508.92

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება სამიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსულობებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** საღებტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება საღებტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა



ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური

2014 წლის 1 იანვრისთვის

ზომის ერთეული:ლარი

სტრიქონი ს კოდი	შემოსავლები	სულ		
		გეგმით	საკასო	ფაქტიური
1	2	3	4	5
010	ნაშთი წლის დასაწყისისთვის			
020	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები			
030	გრანტები			
040	სხვა შემოსავლები			
050	ა) შემოსავლები საკუთრებიდან			
060	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			
070	გ) სანქციები,ჯარიმები,საურავები			
080	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები,გრანტების გარდა			
090	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			
100	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი			
110	არაფინანსური აქტივების კლება			
120	ფინანსური აქტივების კლება			
130	ვალდებულებების ზრდა			
140	სულ:			
150	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი		
160	1.1. შრომის ანაზღაურება	21		
170	1.2 საქონელი და მომსახურება	22		
180	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23		
190	1.4 პროცენტი	24		
200	1.5 სუბსიდიები	25		
210	1.6 გრანტები	26		
220	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27		
230	1.8 სხვა ხარჯები	28		
240	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31		
250	2.1 ძირითადი აქტივები	311		
260	2.2 მატერიალური მარაგები	312		
270	2.3 ფასეულობები	313		
280	2.4 არაწარმოებული აქტივები	314		
290	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32		
300	3.1 საშინაო	321		
310	3.2 საგარეო	322		
320	4. ვალდებულებების კლება	33		
330	4.1 საშინაო	331		
340	4.2 საგარეო	332		
350	ბიუჯეტში გადახდილი თანხები			
360	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი			
370	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს			

ორგანიზაციის ხელმოწერა:

მთავარი კუთვნილება:

ბ.ა



ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

2014 წლის 1 იანვრისთვის

ორგანიზაციის დასახელება: აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო

კოდი 1001

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური

ზომის ერთეული: ლარი

	უცხოუ რ	ეროვნუ ლ	სულ თანხა ლარებში		
			გეგმიურ	საკასო	ფაქტიუ
1 გრანტის მთლიანი მოცულობა					
2 მ.შ მიღებული თანხა					
3 მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4 მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა					
1 ნაშთი პერიოდის დასაწყისში					
2 მიმდინარე წლის მოცულობა					
3 სულ (1+2)					
4 ხარჯები					
5 შრომის ანაზღაურება					
6 საქონელი და მომსახურება					
7 პროცენტი					
8 სუბსიდიები					
9 გრანტები					
10 სოციალური უზრუნველყოფა					
11 სხვა ხარჯები					
12 არაფინანსური აქტივების ზრდა					
13 ფინანსური აქტივების ზრდა					
14 ვალდებულებების კლება					
15 სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულ					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

მთავარი მუხალტერი

ბ.ა



[Handwritten signature]

[Handwritten signature]

ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

კოდი 1001

ზომის ერთეული: ლარი

2014 წლის 1 იანვრისთვის

	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
010	ფინანსური აქტივები				
020	ვალუტა დეპოზიტები				
030	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
040	სესხები				
050	აქციები და სხვა კაპიტალი				
060	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
070	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
080	სხვა დებიტორული დავალიანებები				
090	მინეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება				
100	ფინანსური ვალდებულებები				
110	ვალუტა და დეპოზიტები				
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
130	სესხები				
140	აქციები და სხვა კაპიტალი				
150	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები				
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
170	სხვა კრედიტორული დავალიანებები				

შენიშვნა - სხვა ეკონომიკური ნაკადების (8100 - 8200) მოკორექტირებული ანგარიშებია 010-170 სტრიქონებში მითითებული მუხლების შესაბამისი ანგარიშები და ფორმა №5-1-ის 1001 კოდის მიხედვით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

მოვარი ბუღალტერი



ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ორგანიზაციის დასახელება:

ავგაზეთის არ უმაღლესი საბჭო

კოდი 1001

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2014 წლის 1 იანვრისთვის

ზომის ერთეული: ლარი, ცალი

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები														
დასახელება	საანგარიშო პერიოდში მიღება			საანგარიშო პერიოდში გაცემა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)					საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტური)			
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	სულ ხარჯი	შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. დარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. დარიგო ნაწილები
1 სატრანსპორტო საშუალება	10	1	2				89709.93	5425.90	68828.13	15455.90	89709.93	5425.90	68828.13	15455.90
1.1 მ.შ. მსუბუქი	7	1	2				51795.14	3505.81	40344.83	7944.50	51795.14	3505.81	40344.83	7944.50
1.2 ჯიშები და პიკაპები	3	0					37914.79	1920.09	28483.30	7511.40	37914.79	1920.09	28483.30	7511.40
1.3 სტაციონარი														
2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა	136	8												
სულ:														
2.1 მობილური ტელეფონები	8													
2.2 ტელევიზორები	5	0												
2.3 კომპიუტერები	24	4	1											

ორგანიზაციის ხელმოწერა:



Handwritten signature and date: 6.04.2014